



**შემოსავლების
სამსახური**

ბრძანება N 34120

01/10/2019

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №3) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- ა) შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელებას;
- ბ) შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს;
- გ) კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემას;
- დ) შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემოწმებას;
- ე) სამსახურებრივი შემოწმებისას ან შემოსულ განცხადებაზე რეაგირებისას გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინური დევნის წარმოებას;
- ვ) სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ხელშეწყობი მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;
- ზ) შემოსავლების სამსახურის სისტემაში თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენას;
- თ) სათანადო რეკომენდაციების მომზადებას შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების პროცესის ხელშეწყობისათვის;
- ი) ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დანერგვას და დანერგვისთვის საჭირო ქმედებების განხორციელებას;
- კ) კანონით მინიჭებული ვალდებულების შესრულებისას მოპოვებული კონფიდენციალური და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და მისაწვდომობის დაცვას;

ლ) ინფორმაციული უსართხოების პოლიტიკის, პროცედურებისა და ინსტრუქციის შემუშავებას, გავრცელებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს;

მ) შემოსავლების სამსახურში ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას, მათი მოპყრობის და შემცირების გეგმის შემუშავებას;

ნ) ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ახალი ინიციატივებისა და პროექტებში გასათვალისწინებლად;

ო) გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვას;

პ) შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულებას;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების ან/და შესაბამისი წინადადებების იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

ვახტანგ ლაშქარაძე

სამსახურის უფროსი